


პროსტა



«კოლონიალური პოლიტიკა და იმპერიალიზმი სულაც არ წარმოადგენს კანტალინიის არა ბუნებრივს, მოსარჩენ სენს (როგორც ფიქრობენ ფილისტერები და მათ შორის კაცობა). არამედ აუცილებელ შედეგს თვით კანტალინიის საფუძველი პისას: კონკურენცია (მეტაქობა) ცალკე სასრუველო დაწესებულებათა შორის საკითხს შრომად ასე აყენებს—თვითონ გავორტდუ თუ სხვები ცა-სურთ; კონკურენცია ცალკე ქვეყნებ შორის შრომად ასე აყენებს საკითხს—დარჩე სულ უკანა რიგში მიტოვებული და მუდამ ჯამს მოკვადე ბელგის ბედს, თუ შეუდგე სხვა ქვეყნების დაპურობას და ცარცვას, და ასე გაიკაფო ესა, და საბუდარი იმყოფო «დიდ მპერო-ბაო» სახელმწიფოთა შორის. და უნდა ითქვას, რომ ბურჟუ-ასიული თვადსანსონით ასეთი შესჯელობა კუჭქიუტანელი და უდაობ.

ბ. ლენინი. კრებული «против течения».

წილსა უინა დემოკრა-ტიისა...

მეორე ინტერნაციონალის საინვალ-დო კამანდის კონგრესმა ენევეში გა-დასწვევითა გადამჭერილი ბრძოლა გამოუცხადოს მესამე, კომუნის-ტური ინტერნაციონალს. ამ თავითვე აღვილი გასათვალისწინებელია თუ რა შედეგი მოყვება ასეთ საოპერეტკო-ლო შქრობას: პროლეტარულ რევოლიუ-ციის ასპარეზზე ამ დავარდნილ, მოყვი-თალო დონკინოტებს და ბურჟუაზიის საწინა-პაწინოებს გასარესა მოვლით აუცი-ლებლათ, გასარესა იდეოლოგიური და ორგანიზაციული. მაგრამ ნიშნებია იმის, რომ ჯახრაჟი, ოჩანი ცენენები რა-შობას ეპირებიან იმპერიალისტურ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აპარატით ბურჟ გამაგრებულნი. რაღა თქმა უნდა, რაშობა უკვე შეუძლებელია მათთვის, მარა ცოტა ხანს კიდევ ინავარდებენ, თუ კი მათ მოწინააღმდეგენი გაბაწრუ-ლი და ლაგამ ამოდებულნი შეიქნენ სა-ხელმწიფოს მიერ. ორიგინალობას აქაც ჩვენნი მმართველი დემოკრატია იჩენს. მოგვხსენებთ, საქართველოს ედემის კარები ღიაა კომუნისტების აქედან გა-სამდებლად; ჯგუფ-ჯგუფად და სათი-თაოდ სწარმოებს საქართველოს კომუ-ნისტების ვადასახლებს, ეტაპი ეტაპს მისდევს. ხოლო აქეთ კი აღიარებს უშ-ვებენ მათგან, გზა ხსნილია და კარი ღია მხოლოდ სპეკულიანტებისა და კონტრრევოლიუციონერებისათვის. ისეა მე თვეა სწარმოებს საქართველოს «გა-წმენდა» კომუნისტებისაგან, მარა სამკა-ლი შინც ბევრი დარჩათ ჩვენს «იდევარ»

მოწინააღმდეგეთ. ამიტომ საქმის გა-საადგილებლათ მათ გადაუწყვეტათ გადალახონ ყოველი საზღვარი სისადა-ლის. ისედაც თვალმოუწოდებელ სიშორე-ზე იყო გატანილი ეს საზღვარი, მარა ახლა მასზე გადაბიჯება უცვნიათ საქა-როთ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არც შეიღებინებოდა, არც ინგლისის მეფასზე იმპერიალისტთა და მგონი არც ოსმა-ლეთის ხვანთქარის მთავრობებს არ გა-წურავათ მისი გადაბიჯება: ამ მთავ-რობებში დაუბრკოლებლად შემოუშვეს თავიანთ საბრძანებლოში კომუნისტ. ინტერნაციონალის კონგრესიდან დაბ-რუნებული დელეგატები. ეს მოხდა იქ, სადაც სამოქალაქო თავისუფლების ყვა-ვილი სულ არ მიმქნარა გამგებულ ბურჟუაზიის საჩქოლევში.

აქ კი, სადაც დემოკრატიაშია მოზ-ღავებულნი, სადაც სოციალიზმი დღეს და გადმოიღის,—აქ სულ სხვა, ჭეშმარიტ ქართულ, ორიგინალური სურათი იშლება ჩვენ წინ. კომუნისტურ ინტერნაც. კონ-გრესის დელეგატები საქართველოდან, და მათთან ერთად აღმოსავლეთის ხალხ-თა ყრილობაზე დამსწრე საქართველოს მუშები და გლეხები კვირობით ეყარენ სადგ. აქსტაფის ბაქანზე წინ დაბრუნე-ბის ნებართვის მოლოდინში, მარა ვე-რას ეღირსენ და უკან გაბრუნდენ ბა-ქოში. მიუხედავად მთავრობის თავმჯდო-მარის ბეჯითი დაპირებისა—დღესვე გავცემთ განკარგულებას ასეთი საარაკო აკრძალვის მოხსნის შესახებო, მინც

ნასიათა ლივის აგანსაჟი.

მეორე ინტერნაციონალმა ვერ შეუშა-ლა ხელი მსოფლიო ომს, რადგან შიგ მყოფი პარტიების უმრავლესობა სოცი-ალ მოვინისტური აღმოჩნდა და პრო-ლეტარიატის საერთაშორისო ინტერ-ლესტის თავისი ბურჟუაზიის ნაციონალის-ტური ინტერესები ამჯობინა. მან ვერ შეუშალა ომს ხელი, რადგან არც მოი-სურვა ეს. მეორე ინტერნაციონალი მო-კვდა და არც შეიძლებოდა არ მომკე-დარიყო.

ამას დღეს ვერ უარყოფენ თვით ამ ინტერნაციონალის უმწიფოთ მოხეტიალე ნამსხვრევები, რომლებსაც დიდი სურ-ვილი აქვთ აღადგინონ მისი ძველი მოჩ-ვენებული ძლიერება. მაგრამ შეიძლება სწორეთ იმითომ, რომ ეს მათი მისწრა-ფება არ პროულდება არსად არავითარ გამომხაურებას, მათ, როგორც დახელო-ვნებულ სპეკულიანტებს, უბათ აქვთ იმავე ჯუფის, თუმცა კი ცოტა სხვა ფერის საქონელი: ეს გახლავთ ნაციათა ლივა.

ნაციათა ლივა, ანუ, როგორც მას სახელის გასაკეთებლათ უწოდებენ — ხალხთა ლივა, ეს ვერსალის ხელშეკრუ-ლობის ღირსეული ნაყოფი, ეს ანტან-ტის სახელმწიფოების ახალი იარაღი, რომლითაც უნდა დაიპყრან და მოგუ-დონ დიდი და პატარა ერები — დღეს დიდ სამზრუნველო სანავთ გამხდარა ყვეთელი ინტერნაციონალის წევრებისა-თვის, ჩვენში ნოსეირნე სტუმრებიც აღარ ფარავენ, რომ ისინი უფრო ნაციათა ლივის ავტორიტორთა კოლეგიაა, ვიდრე

მეშათა ინტერნაციონალის წევრები.

და აი ეს ავტორიტორები, ან უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, ნაციათა ლივის ერთგული აგენტები, ცდილობენ რაც შეიძლება მალა ასწიონ მათი მიამა-ლინებლის აქციები, რეკლამა გაუკეთონ მას და მისი წევრობა არა მარტო სა-სურველათ, არამედ სანატრელათ გაუხა-დონ მათ მიერ მოლოდინულ დიდ და პატარა ერებს.

ინტერნაციონალმა ვერ შეუშალა ხე-ლი ომს,—ეს მართალია,—ამბობენ ეს ენა-ტებილი ვითაყოლები, მაგრამ ნაცი-ათა ლივა კი შეუძლებელია გახდის ომს. ჩვენ ვეცდებით, რომ სხვათა შორის ქა-რთველი ერიც გაგხადოთ მოწაწილე იმ პარტიკულური ფორმისა, რომელსაც ეწოდება ნაციათა ლივა.

მერე როგორ უყურებენ ჩვენი ქვეყნის მესვეურები ამ საკითხს? ნუ თუ ძნელი გასაგებია, რომ ნაციათა ლივა, როგორც ეს განზრახულია, ნამდვილათ იმ არამ-ზადების ლივაა, რიგელთაც ქვეყნიერე-ბას თავს დაატყენს ერთი მეორეზე უსაზინელესი უბედურებანი და ამ ლი-ვასაც იმითომ ადგენენ, რომ შემდეგ-შიაც გაიღვივონ თავისი ავანაჟური თარეში? ლივაში შემსვლელი ყოველი წევრი ანტანტის სახელმწიფოებს უნდა დაემონოს, ნება ყოველობით უნდა გახ-დეს მათი საწველი ფური, თავი უნდა გასწიროს წინააღმდეგ მათი კეთილდღეო-ბის ინტერესებისათვის.

ეს ლივა მსოფლიო ბურჟუაზიის იმ

ადვილუბრივი პრესა.

გაზ. «კლდე», რომელიც აშკარათ და მიუკიბ-მოუკიბავათ იცავს გაბატონებუ-ლი კლასების ინტერესებს, დგას იმ ცხა-დი უსამართლობის წინაშე, რომ არსე-ბითად ბურჟუაზიულ წყობილებაში პო-ლიტიკური ბატონობა ხელთ უპყრია არა მის ჯგუფს, არამედ სოციალი-სტური იარაღის მატარებელ პარტიას, თითონ კი იძულებულია ოპოზიცია აწარ-მოვოს და ისიც მარჯვნიდან. საოპოზი-ციო მასალათ ის ხშირათ იყენებს ჩვენს გაზეთით დაბეჭდილ წერილებსაც, რაზე-დაც მოთმინებლად გამოსულმა «ერთო-ბამ» მრისხანეთ შეუტია,—როგორ თუ «კომუნისტიდან» უკომენტაროთ ბეჭ-დავ წერილებსო და უკეთინა... ბალშე ვიკებთან პოლიტიკური დაახლოვება. იმაზე გაზეთი კლდე ასე უპასუხებს: «ტყუილათ დაფთვებულა ასე «ერ-

თობა». ჩვენ მოგვყავს პრესის განყო-ფილებაში ყველაფერი საინტერესო, რაც ქართულ გაზეთებში იბეჭდება; ეს კი ყველამ იცის, რომ «ერთობის» თანა საზაზინო ბუტერბოდებით გა-ტენილი გაზეთები ყოველთვის ნაკ-ლებ საინტერესონი არიან, ვიდრე ოპოზიციის ორგანო, სულ ერთია მე-მარჯვენე ეჭნება ის თუ მემარცხენე. თორემ ჩვენი შეხედულება ბალშევი-კებზე დაახლოვებით ისეთივეა, რაც მენშევიკებზე, და გამოიხატება სხარ-ტულათ შემდეგი ქართული ანდაზით: «შავი ძაღლი, თეთრი ძაღლი ორი-ვე»...

ამ იმონაწერის კილოს ჩვენ არ შევე-ხებთ, რადგან «ერთობისა» და მის მო-ძმეთა ზრდილობიან ენა-წყლიანობით ისე ვართ მოხიბლული, რომ ამ მხრით ჩვენს ნერვებს ვეღარავინ აატოკებს.

არსებითათ კი ვიტყვი, რომ დიდ უსამართლობას სჩადის გაზეთი, როდეს-საც ჩვენ და მენშევიკებს ერთ საზომს ვგვიყენებს. სად ჩვენ და სად მენშევიკე-ბი! ან რა სამდურავი უმართებს გაზეთს «ერთობელთან», რომელთაც თავისი ზურგიტ გაათარვის ბურჟუაზიულ-ნაციო-ნალისტური პროგრამა და დღემდის ხელუხლებლათ იცავენ ბურჟუაზიის ბა-ტონობას, მაშინ როდესაც ჩვენს მეზომ-ლათ მდებარე უზარმაზარ სიერცხე ბურჟუაზიის სინსილაც კი მოსპობილია. თუ «კლდეს» გონია, რომ თითონ ის უკეთ შეასრულებდ ამ პროგრამას, ძა-ლად სადაც კი ისეთი დროა, რომ ული პარტიებიც იძულებული არიან «ერთობელისთანა» «სოციალისტები» მოახმარონ თავისი ბატონობის განმტკი-ცებაში. ემერტი—გერმანიაში, რენერი —აესტრიაში, თქვენი ძვირფასი სტუ-მარი ვანდერველდე—ბელგიაში თუ გენბავთ თვით მილიერანი საფრანგეთში —განა ყველა ესენი სოციალისტები არ არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, განა ურიგათ იცავენ ბურჟუაზიის საქმეს? მართალია, იქ თითო-ორი «სოცია-ლისტის» გამინისტრებით მიღიან ოო-ლათ და ხარჯიც ნაკლები მოსდის ბურ-ჟუაზიას, ხოლო მმართველობის უმთავ-რეს და უგემრიელეს ადგილებს თითონ აძლბა, მარა აქ სხვა პირობებია: აქაურ «სოციალისტებს» ღვაწლიც მეტი მიუძ-ღვის ბურჟუაზიის გამტკიცებაში და უკა-ნასკენლმა ხარჯიც მეტი უნდა გაიღოს მათ შესანახათ. რა ვუყოთ, თუ კერძო პი-როვნებანი პორტფელს ვერ სწვდებიან, სამაგიეროთ მთელი კლასის საქმე ხომ უზრუნველყოფილია.

საბჭოთა რუსეთის პრესა.

მენშევიკების გაზ. «სოფლის მუშა» ძლიერ გაწიწმაცებულია იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთში მათი შეხანხლული «მუშათა დელეგაცია» თავის ტერიტო-რიაზე არ შეუშვა. ის სწერს: «ბევრი ბოროტება ჩაუდენიათ ბა-ლშევიკებს, ბევრი და უდიდესი და-საშაულის ჩამდენი პრიან ისინი მუ-შების წინაშე, მაგრამ ამაზე დიდი ბოროტება და ამის მზგავსი დანაშა-ული მათ დღემდე არ ჩაუდენია». რამ ვადარია ასე ეს გაზეთი? რაშია საქმე? რას მოელოდენ ამ დელეგაციი-დან? აი რას: «დელეგაცია რომ გასცნობოდა რუსეთს, იქიდან ნამდვილი ამბავი ჩამოეტანა და ჩვენი ხალხისათვის გა-ეცნო, ბალშევიკების საქმე ხომ მთლათ დაილუპებოდა. ესაა ნამდვილი მიზე-ზი დელეგაციის რუსეთში არ გაშვე-ბისა». ერთი სიტყვით, დელეგაცია რომ გა-

შვით, საქართველოში ბალშევიზმი ვე-ღარ იხიერებდა და ამისი შეეშინდა საბ-ჭოთა მთავრობას. ასე ფიქრობს გაზეთი. მარა ამ ქუქის კოლოფებმა უნდა იცო-დენ, რომ ჩვენ მაგალითათ მომხრე ვი-ყავით დელეგაციის გაშვებისა და სუ-ლაც არ გვეშინოდა იმ საშინელი შედე-გებისა, რომლითაც ასე გვაფრთხობს ნერვებ აშლილი გაზეთი. მაგრამ რა სა-ვალდებულოა ლოლიკა იმ ხალხისთვის, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე დე-მაგოგის მორეგშია ჩაფლული.

აღვირ-ახსნილი დემოგოგია ამავე გა-ზეთის პრესის განყოფილება. აქ ისინი ებღაუჭებიან ჩვენს წერილებს ყვეთელი ინტერნაციონალის შესახებ და რაკი არ-სებითად ვერაფერი უთქვამთ, სიმძიმის ცენტრი ნებადაქვთ თითო-ორიოლა გამო-თქმანზე: ნათეს, როგორ ახასიათებს «კო-მუნისტი» ქართველ ხალხს, მას ტუტუტს და გამოშტერებულს ეძახისო! თქვენი მიმყოლი მუშები და გლეხები რომ თქვე-ნი შეცდინებობით საქმათ გამოშტერე-ბულია, ამას ჩვენ კიდევ გავიმეორებთ და არასოდეს დაგვიმალავს. მიუხედავად ამისა, თქვენი მუღამ იმას ჩასჩინებთ მას, რომ ქართველი დემოკრატისთინა ჭკვიანი დელამიწის ზურგზე არ მოიპო-ვება არც დემოკრატია და არც პროლფ-ტარიატი. ამ დემოგოგიით ამრუებთ მის გონებას და დელეგაციის სტუმრობასაც ის აზრი ქონდა, რომ მასაც თქვენი დე-მაგოგია ხალხს ჭეშმარიტებათ გამოეც-ხადებინა. მანაც პირნათლად შეასრულა თავისი ულუწულობა.

და მეორე მხრით ტუტუტე ხალხის მო-სატყუებლად სოციალისტური ფრაზეო-ლოგის კორიანტელს აყენებს. რაღა გი-ჭიროთ ახლა? დაჯექით და ქიფი გას-წიეთ.

ზავი უნდა დავაჩქაროთ

საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შო-რის ზავზე და დროებითი ზავზე მოლა-პარაკებები 17 აგვისტოდან არის დაწ-ყებული. ორ კვირათ მატო იყო გასული ამ დღიდან, რომ მოლაპარაკების საქმემ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. ჩვენი დელეგაცია ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს დააჩქაროს საქმის მოთავება, მაგრამ პოლონეთის პანები წინააღმდეგ ყოველ ღონეს ხმრობდენ მოლაპარაკე-ბა დავგვიანებიათ და გაეკანურებიათ. ახ-ლა პოლონეთის დელეგაციის მოთხოვ-ნი მოლაპარაკებები მისკის მაგიერ რიგაში არის დანიშნული, რამაც სხლო-მების მსვლელობაში ახალი შეფერხება გამოიწვია.

საბჭოთა რუსეთი თვით პოლონულ შლიახტებთან მშვიდობიანობის სურვილს და ზავის პირობებში დათმობას ყოველ-თვის იჩენდა. იგი ამჟამათაც ისეთსავე მისწრაფებებს იჩენს, როდესაც აცხადებს რომ მის წინადადებას ულტიმატიური ხასიათი არ აქვს. მაგრამ პოლონეთის პანები, ვარაუგთან გამარჯვებულები, იმას ფიქრობენ, რომ ბლოკადის გამარჯვე-ბულები დარჩებიან და საბჭოთა რუსე-თის თავის პირობებს მალდიდან უკარ-ნახებენ. მანამ კი აჩიჩებენ მოლაპარა-კებას, რომ დაავიანონ ხამირამდის, როდესაც სახმდრო მოქმედება ძნელი იქნება და წითელ არმიის შეტევა მისუ-სტდება ან მთლადაც შესწყდება.

გაზაფხული გათავდა. ახლოდებმა ხამ-თარი, როდესაც ჩვენ წინ მიძიე საკით-ხების მთელი ლივი იშლება: სასურსათო, სათბობის, ტრანსპორტის და სხვა ფრონ-

ტების. ეს ფრონტები ჩვენგან დიდი უნარის გამოჩენას მოითხოვენ. რომ აქ, შინ, ნაყოფიერი ბრძოლა ვაწარმოოთ, უნდა განთავსდეთ უფლებადამცველ ფრონტებისაგან, და პირველ ყოვლისა მათ შორის უფრო მნიშვნელოვან ფრონტისგან — ესაა პოლონეთის ფრონტი. ზავი უნდა დაეწესებოდეს.

როგორც ვამოკიდებომა გვიჩვენებს, ჩვენ ვცდილობდით პოლონელი შლიახტები იძულებულ გვეყო საზავო მოლაპარაკება დაეწყოთ: ამას გვეუბნება აგრეთვე მინსკში კოლაპარაკების მავალი თიქ. ამისთვის კი მხოლოდ ერთი საშუალება არის. საჭიროა კიდევ ახალი მიწოლა პოლონეთის ფრონტზე, საჭიროა

კიდევ პოლონელ პანებისათვის თავში რამდენიმე ჩარტემა, რომ პოლონელ პანების თავის ქალაში ჩაერქოს ზავის სურვილი; ამით უნდა უჩვენოთ მათ, რომ თუ ისინი არ მოისურვებენ მშვიდობიანობის ჩამოგდებას, მათ ვერავითარი საფრანგეთის გენერლები და ბანკირები ვერ იხსნიან.

ამისთვის კი კომუნისტებმა და წითელ-მთხალისებმა ყოველგან ენერგიულად უნდა გგნავრძობთ ფრონტის სასარგებლოდ ის მუშაობა, რომელიც ასე თვალსაჩინოთ დაიწყო პიტრში და მოსკოვში და რომელმაც საბჭოთა რუსეთის თითქმის ყველა გუბერნიებში პპოვა გამოაძახა. („პრავდა“ № 195).

მესამე ინტერნაციონალი სარდალია პროლეტარების გაერთიანებულ ძალებს!

ინტერნაციონალის გარშემო

კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესი მოსკოვში მეთხუთსეულმა (26 ივლისი) (გაგრძელება. იხ. „ახ. კომ.“ № 52)

როგორ უნდა უყურებდნენ კომუნისტები ზანგების მოძრაობას სოციალურ და პოლიტიკურ სწორ-უფლებიანობისათვის?

მაგრამ კომუნისტები არ უნდა იდგნენ გვერდზე ზანგების მოძრაობისაგან სოციალურ და პოლიტიკურ თანასწორ უფლებიანობისათვის, რომელიც დღეს, რასიულ თვითშეგნების სწრაფ ზრდის დროს ფართოთ ვრცელდება ზანგთა მასებს შორის. კომუნისტებმა უნდა გამოიყენონ ეს მოძრაობა, რათა ხაზი გაუყვანონ ბურჟუაზიულ თანასწორობის უფარგისობას და სოციალურ რევოლუციის აუცილებლობას არა მარტო ყველა მუშების მონობისაგან განსათავსებლად, არამედ როგორც ერთად ერთი საშუალება დაჩაგრულ ზანგთა ხალხის განსათავსებლად.

აშს. ფრანკის სიტყვა. უცხოეთის მუშების და კოლონიების მცხოვრებთა მდგომარეობა შეერთ. შტატებში.

წინა ორატორი ლაპარაკობდა ზანგების შესახებ, როგორც დაჩაგრულ ხალხის შესახებ შეერთებულ შტატებში. მაგრამ ჩვენ გვყავს კიდევ ორი სხვა დაჩაგრული ხალხი — უცხოეთის მუშები და კოლონიების მცხოვრებნი. ვაფიქვებასა რევოლუციონური მოძრაობის სისუსტე და ზანგთა შეერთებულ შტატებში არ არის შედეგი, არამედ გაძლიერებულ პოლიტიკური გამოხატულებაა წინა დღეს მათი დამოუკიდებლობისა შეუკავშირებულ არა კვალიფიციურ მუშებთან. მხედრულად ახშობენ ამ მუშების გაფიცვას. რატომ? იმიტომ რომ ეს შეუკავშირებელი არა-კვალიფიციური მუშების უზრუნველყოფა უცხოეთშია (რომლებიც დაახლოებით სამრეწველო პროდუქციის 60% შეადგენენ). შეერთებულ შტატების უცხოეთის მუშები ფაქტურადაა კოლონიური ხალხების მდგომარეობაში არიან.

სამოქალაქო ომის შემდეგ (1861—66 წ. წ.) კაპიტალიზმი სწრაფად ვითარდებოდა, დიდი რაოდენობის ვაჭრების შემდეგ უმდიდრესი დასავლეთის ოლქები ღია იყო კაპიტალისტურ განვითარებისათვის. კაპიტალიზმი მთლიანად აღმოსავლეთის შტატებში და ევროპაში, ემიგრანტები კი გახდნენ იმ ადამიანურ ნედლეულსა, რომელიც „ვითარდებოდა“ იმავე წესით, როგორც ხალხი, რომელიც დასახლებულია ჩამორჩენილ კოლონიურ ქვეყანაში. ის საზოგადოება, რომელსაც განიცდიდნენ კოლონიური ხალხები, არაფრით არ ჩამოუვარდება იმას, რომელიც ხშირად ხმარდება შეერთებული შტატების უცხოეთის მუშების მიმართ. მაგალითად ლუდლანში 1912 წ. მოხდა ნახშირის მთხრელთა გაფიცვა; ჯარისკაცების დახმარებით ნახშირის მთხრელები გამოყარეს სახლიდან და აიძულეს ეცხოვრათ „პალატებში“. ერთხელ, როდესაც მამაკაცები, იბრძოდნენ რა ჯარებთან, ერთი მილით იყვნენ დაცლებული, ჯარისკაცების ერთმა ჯგუფმა შეიპარტყა ალყა „პალატებს“ და ცეცხლი წაუკრიბა, რის გამო დაიწვა რამდენიმე ასი ქალი და ბავშვი. ასეთ პირობებში კლასიური ბრძოლა შეერთებულ შტატებში ხშირად რასიულ სახეს იღებს, და იმის მაგივრად, როგორც ნევრების აჯანყება დასაწყისი გახდა არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული რევოლუციის, ისევე შეიძლება მოხდეს უცხოეთის მუშების აჯანყების შემთხვევაშიც. ჩვენი დიდი ამოცანაა გავერთიანდეთ ამერიკელ მუშებთან ერთ-ერთ რევოლუციონურ მოძრაობაში.

ლათინური ამერიკა, როგორც შეერთებულ შტატების კოლონია

მთელი ლათინური ამერიკა უნდა იქნას განხილული, როგორც შეერთებულ შტატების კოლონია, და არა მარტო ნამდვილი კოლონიები, როგორც ფილიპინის კუნძულები და სხვ. მთელი ცენტრალური ამერიკა ამერიკის შეიარაღებულ ძალების კანტროლშია მყოფი. მაგრამ ეს ოკუპაცია არსებობს აგრეთვე მექსიკაში.

შეიცა და სამხრეთ ამერიკაშიც, სადაც ის ორნარიტ გზით იხტება: ერთი, ეკონომიური და ფინანსური გავლენის გზით რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება ამ ქვეყნებში გერმანიის საწარმოო დაწესებულებების ექსპარატივის სიმედვე; მეორე, „მონროეს“ დოქტრინის საშუალებით, რომელიც თავის პირველ-დაწყებითი სახით ცდილობდა დეცვა ამერიკელებს მონარქიულ გადატრიალებისაგან, და შემდეგ კი გადაიქცა ამერიკის იმპერიალიზმის გასამგებლად იარაღად ლათინურ ამერიკაში. ლათინური ამერიკა შეერთებული შტატების იმპერიალიზმის კოლონიური ბაზისია. იმ დროს, როდესაც ეკონომიური პირობები მთელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო ირღვევა, შეერთებულ შტატების იმპერიალიზმი თავს იფიცვავს ლათინური ამერიკის ექსპლოატაციით. აუცილებელია ბრძოლა ამ იმპერიალიზმთან ლათინურ ამერიკაში რევოლუციონური მოძრაობის განვითარებით სწორედ ისევე, როგორც აუცილებელია ბრძოლა ბრიტანიის იმპერიალიზმთან მის კოლონიებში რევოლუციონური მოძრაობის განვითარებით.

ლათინურ ამერიკის მოძრაობა განთავსებულ უნდა იქნეს სინდიკალისტურ გავლენისაგან.

მუშათა მოძრაობა შეერთებულ შტატებში აქამდის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მოძრაობას ლათინურ ამერიკაში და ამის გამო ეს მოძრაობა იდეოლოგიურად თანხის გავლენის ქვეშაა და არა შეერთებულ შტატების ლათინური ამერიკის მოძრაობა განთავსებულ უნდა იქნას ამ გავლენისაგან მისი სინდიკალისტური სულისკვეთებით. ამერიკის შრომის ფედერაცია და რეაქციონური სოციალისტური პარტია ცდილობენ მოაწყონ პანამერიკის ორგანიზაციები, და არა რევოლუციონური მიზნებისათვის.

კომუნისტურ ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანა.

კომუნისტური მოძრაობა შეერთებულ შტატებში იმაშია, რომ პირველად დასახლებულ კლასის თვალთა ხედვის ისარზე: კერძო მსოფლიოს მისი თვალებით, ფიქრობს და გრძნობს ისე, როგორც ამ კლასის ბუნებას შეეფერება. ავტორის პიროვნებაში იმალება ავტორი-კლექტივი, ავტორი-კლასი. და პოეზია — ნაწილია მისი თვითშეგნებისა.

ავტორი-პიროვნება შეიძლება სრულიად არ ფიქრობდეს ამაზე. თვით ნაწარმოებშიც კი ხშირად არ მოიპოვება პირდაპირი ნიშნები მათი კლასური წარმოშობისა. ის მავალითაა რუსის ძველი მწერლის ფეტის ლირიკა. ეს ლამაზი პოეზია, რომელშიც ეკავშირება ერთმანეთს ბუნების გამოხატულებანი და თვით პოეტის მკვეთრი სულიერი მოძრაობანი, გვეგონება პირველი შეხედვით რომ ნიშნულია „წმიდა ხელოვნებისა“ მოკლებული ყოველიანარ სოციალურ სარჩულს. მიუხედავად ამისა, მაშინაც კი, როცა რუსეთში მარქსიზმის ხსენებაც არ იყო, იყვნენ ისეთები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ეს „ბატონური“ პოეზიაა. „ბატონური“, ესე იგი, მემამულეთა, — რომელთა ხასიათშიც, ცხოვრების მოწყობილებაში და აზრ-მიმართულებაში იმავე ის, და ეს სიმართლეა.

ის ღრმა, სრული განზორდა ყოველნაირ ბატონიურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ზრუნვას, რომელსაც გამოხატავს ფეტის ლირიკა, შესაძლებელი იყო მხოლოდ წმიდა-ბატონური ელემენტებისათვის, რომლებიც შორდებოდნენ წარმოებას.

მაშინდელმა ბურჟუაზიამაც, რომელიც გატაცებული იყო მხოლოდ მოგების სურვილებით და ერთმანეთ შორის კონკურენციით, რომელიც საქმიანობის ატმოსფერო იყო გაქვნილი, ვერ შესძინებდა მკვეთრი შემეცნებისა და გონივრის შეთვისება. ამავე დროს ქალაქელთა კლასი მოკლებული იყო ბუნების ისე გაგებისა და შეთვისების შეძლებას, როგორც სოფლის მიწათმფლობელთა კლასი. და ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ პოეზია უნდა შექმნილიყო მიწათმფლობელებთან კლასის სიორგანიზაციო ძალათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კლასი მაშინ კვდებოდა, რომელსაც რასაკვირველია არ უნდოდა ისტორიულ სცე

შტატებში კერძოთ და კომუნისტური ინტერნაციონალი საერთოთ უნდა ჩაერთოს აქტიურად ლათინურ ამერიკის მოძრაობაში. ეს მოძრაობა და მოძრაობა შეერთებულ შტატებში განხილულ უნდა იქნეს როგორც ერთი მთელი. ჩვენს სტრატეგია და ტაქტიკა უნდა ემყარებოდეს ამერიკის რევოლუციონარულ მთელს ამერიკაში. კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებას, იმპერიალიზმის დახმობა შეერთებულ შტატებში; და ეს დახმობა შესაძლებელი მხოლოდ გიგანტიურ რევოლუციონურ მოძრაობის საშუალებით, რომელიც მოედება მთელ ამერიკას, რომელიც თითოეული ნაციონალური ერთეული უნდა ემორჩილებოდეს ამერიკის რევოლუციონის გაერთიანებულ ამოცანებს.

აშს. რადეკის სიტყვა კოლიანური საკითხი მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე.

მეორე ინტერნაციონალის ყველა კონგრესზე გაისმოდა პროტესტები იმპერიალისტურ მთავრობების თარუსში წინააღმდეგ კოლონიურ ქვეყნებში; ახლაც ვხედავთ ჩვენ, თუ როგორ დაწვენილებით ირჩევა კოლონიური საკითხი მეორე ინტერნაციონალის კონგრესშიც, თუ როგორ ურჩევდნენ პიუსსმანსი, ჰენდერსონი და კომპ. მარჯვნივ და მარცხნივ ავტონომიებს ხალხებს, მაშინაც კი, როდესაც უკანასკნელები სრულებით არ თხოვლობენ ამას. რომელიც მთელი მსოფლიოს წინაშე მყვირალა პროტესტებით იმპერიალისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ და კოლონიურ ქვეყნების დამოუკიდებლობის „ალიანებაში“ იყოს, მაშინ ჩვენი ამოცანა ძალიან მარტივი იქნებოდა.

ახალი ნიადაგი პრაქტიკულ ბრძოლის დარგში.

მაგრამ ჩვენ ფეხს ვდგამთ ახალ ნიადაგზე პრაქტიკულ ბრძოლის დარგში კოლონიურ ქვეყნებში. საჭიროა არა

კლასი, კოლონიკალი

(დასასრული იხ. № 52 „ახ. კომ.“) იცლებოდა თუ არა მას შემდეგ არსებითად პოეზიის მნიშვნელობა. ვაფიქვებოთ თუ რა მნიშვნელობა ქონდა ძველი საბერძნეთისათვის პომეროსის და გესიოდის პომეზებს. — უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობა.

მაგრამ რა არის აღზრდა? ეს არის ძირითადი ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც საზოგადოებას აწვდის ახალ წიგნებს.

ადამიანის პიროვნება იმნიანათ მუშავდება, რომ ის ასრულებს საზოგადოების კავშირის ცოცხალ როლის როლს, რომ დაიკავოს თავისი ადგილი და ასასრულოს თავისი საქმე საერთო სოციალურ პროცესში.

და აღზრდა აწყობს ადამიანთა კოლექტივს იმის მზავებათ, როგორც სწავლება ხედრულ მწყობრებისა, დისციპლინისა ქმნის ჯარის ორგანიზაციას.

თორეტიკოსებს, რომლებიც ხელოვნებას თვლიან თანახმად არისტოკრატიული და ბურჟუაზიული ტრადიციისა „ცხოვრების საკულაო“ და თავისებურ ნებინობათ, არ გაეგებათ, თუ რა რიგით ვარდებიან წინააღმდეგობაში, როცა იმავე დროს ხელოვნებას ანიჭებენ აღმზრდელი თვის, ესე იგი პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მნიშვნელობას.

არსებობს ორი ბურჟუაზიული თეორია ხელოვნებაზე — „წმიდა ხელოვნება“ და „სამოქალაქო ხელოვნება“.

პირველი ამტკიცებს, რომ ხელოვნება უნდა იყოს მიზანი თვითონ თავისთვის, უნდა იყოს თავისუფალი და გარეშე ინტერესებისა და მისწრაფებათა კაცობრიობის პრაქტიკულ ბრძოლისა.

მეორეს კი ჰგონია, რომ ხელოვნება უნდა ატარებდეს ცხოვრებაში ბრძოლის პროგრესიულ ტენდეციებს.

ჩვენ სასებულ შეგვიძლია უარყოთ როგორც პირველი, ისე მეორე თეორია, როდესაც ვამოვიკვლევთ, თუ რა არის მართლა ხელოვნება კაცობრიობის ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, ხელოვნება მიზნით ისახავს მოქალაქობრივი ცხოვრების სამსახურს თუ არა, ის მაინც თავის

თავით კავშირებს ხელოვნებას. ძალიან მოახვიო ძალათ ეს სამსახური ხელოვნებას. ეს იქნება მისთვის საზიანო მატერიალის მხრივ. ცოცხალი სახეების მეტი მწყობრი ორგანიზაციის შექმნა შეუძლია ხელოვნის მხოლოდ მაშინ, როცა ის თავისუფალია, როცა მას შემოქმედების დროს ძალს არ ატანებენ. მაგრამ შეუძლებელია აეკრძალოს ამავე დროს ხელოვნებას, რომ ის პოლიტიკურს და სოციალურს და ბრძოლის მოტივებს არ გაყვეს. მისი შინაარსი ეს მთელი ცხოვრებაა შეუზღუდველად და აუქრძალავათ. პოეზიის „უწმიდესი“ დარგთაგანი არის ლირიკა-ხელოვნება პიროვნების სულიერ განწყობილებათა და გრძნობათა ღრმადი ღრმადი.

რისი შეგავსებება შეუძლია მას სოციალურათ? ლირიკა რომ გამოხატველი იყოს მხოლოდ ხელოვნის სულიერი განწყობილებებისა და გრძნობათა ღრმადი, და სხვა არაფრის, მაშინ ის არავის გასაგებია არ იქნებოდა და არც საინტერესო. ის არ იქნებოდა ხელოვნება.

იმისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ის ქმნის მრავალ ადამიანთა სულიერ განწყობილებათა საერთო ტიპს, სულიერ მოძრაობათა კავშირს. უხსენის და უმარტავს რა ხალხს ამ საერთოს, პოეტი აერთებს და აკავშირებს მათ გრძნობის სფეროში ურთიერთ-შორისო გაგებით და იმ „თანაგრძნობით“, რომელსაც ის მათში იწვევს.

და იმავე დროს პოეტი ზრდის და ამშენიერებს მათი სულის ამ მხარეს ერთმანეთ მიმართულებით, რაც აღრმავებს და აფართოებს იმთ ჯგუფურ, კლასიურ და სულიერ სახალფეს, შეკავშირების სიმტკიცეს. და ეს კი ამაზღვრავს და ანივთარებს შეთანხმებულ მოქმედებათა შესაძლებლობას, ე. ი. აქაც, როგორც წინათ იყო აღნიშნული მხედრული სიმღერის შესახებ, საქმე ეხება რამდენიმე წინააღმდეგობის კოლექტივის ძალთა ორგანიზაციის შექმნის საერთო ცხოვრებისათვის ან ბრძოლაში რამე გამოვიდის გამოჩენისათვის. ის პოეზია კი, რომელიც აღწერს ცხოვრებას, როგორც ევოსი, დრამა, რომანი, თავისი ორგანიზაციული მნიშვნელობით ემზავება მე-

თავით კავშირებს ხელოვნებას. ძალიან მოახვიო ძალათ ეს სამსახური ხელოვნებას. ეს იქნება მისთვის საზიანო მატერიალის მხრივ. ცოცხალი სახეების მეტი მწყობრი ორგანიზაციის შექმნა შეუძლია ხელოვნის მხოლოდ მაშინ, როცა ის თავისუფალია, როცა მას შემოქმედების დროს ძალს არ ატანებენ. მაგრამ შეუძლებელია აეკრძალოს ამავე დროს ხელოვნებას, რომ ის პოლიტიკურს და სოციალურს და ბრძოლის მოტივებს არ გაყვეს. მისი შინაარსი ეს მთელი ცხოვრებაა შეუზღუდველად და აუქრძალავათ. პოეზიის „უწმიდესი“ დარგთაგანი არის ლირიკა-ხელოვნება პიროვნების სულიერ განწყობილებათა და გრძნობათა ღრმადი ღრმადი.

რისი შეგავსებება შეუძლია მას სოციალურათ? ლირიკა რომ გამოხატველი იყოს მხოლოდ ხელოვნის სულიერი განწყობილებებისა და გრძნობათა ღრმადი, და სხვა არაფრის, მაშინ ის არავის გასაგებია არ იქნებოდა და არც საინტერესო. ის არ იქნებოდა ხელოვნება.

იმისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ის ქმნის მრავალ ადამიანთა სულიერ განწყობილებათა საერთო ტიპს, სულიერ მოძრაობათა კავშირს. უხსენის და უმარტავს რა ხალხს ამ საერთოს, პოეტი აერთებს და აკავშირებს მათ გრძნობის სფეროში ურთიერთ-შორისო გაგებით და იმ „თანაგრძნობით“, რომელსაც ის მათში იწვევს.

და იმავე დროს პოეტი ზრდის და ამშენიერებს მათი სულის ამ მხარეს ერთმანეთ მიმართულებით, რაც აღრმავებს და აფართოებს იმთ ჯგუფურ, კლასიურ და სულიერ სახალფეს, შეკავშირების სიმტკიცეს. და ეს კი ამაზღვრავს და ანივთარებს შეთანხმებულ მოქმედებათა შესაძლებლობას, ე. ი. აქაც, როგორც წინათ იყო აღნიშნული მხედრული სიმღერის შესახებ, საქმე ეხება რამდენიმე წინააღმდეგობის კოლექტივის ძალთა ორგანიზაციის შექმნის საერთო ცხოვრებისათვის ან ბრძოლაში რამე გამოვიდის გამოჩენისათვის. ის პოეზია კი, რომელიც აღწერს ცხოვრებას, როგორც ევოსი, დრამა, რომანი, თავისი ორგანიზაციული მნიშვნელობით ემზავება მე-

თავისათვის ცხადია, რომ იმათი საორგანიზაციო იარაღებიც, ესე იგი იდეოლოგიები, სხვა და სხვა, ცალ-ცალკე, ბევრში არა თუ შეთანხმებულნი, პირდაპირი მოთხოვნებიც ერთმანეთ შორის. ეს ეხება პოეზიასაც. კლასიური საზოგადოებაში, ისიც კლასიური ხდება: საბატონო, გლეხური, ბურჟუაზიული, პროლეტარული.

ეს, რასაკვირველია, არ უნდა გავიგოთ იმ ბზრით, რომ თითქო პოეზია პირდაპირ იცავს ინტერესებს ამა თუ იმ კლასისა: თუკიკა ეს ხანდახან ხდება იშვიათათ, განსაკუთრებით პოლიტიკურ და სამოქალაქო პოეზიაში. საერთოთ მისი კლასიური ხასიათი უფრო ღრმა

ნიდან ჩამოსვლა და ინტერვიუთ იცავდა თავის ინტერესებს. ის არა თუ აკავშირებდა მიწათმფლობელებთა წარმომადგენლებს საერთო ინტერესებით, ამავე დროს საზოგადოების დანარჩენ ნაწილსაც უპირდაპირებდა მას და მით აძლიერებდა მათ შეკავშირებას.


ის ამავე დროს მათში შეგნებას თავის სულიერ უარესობისას საზოგადოების დანარჩენ ნაწილებთან შედარებით და ამით მათთან თავისი უპირატესობის უფლებასაც ამაგრებდა. ის თითქოს ეუბნებოდა მათ: „ჩვენ ჩვენ როგორც ისტეტიკოსები ვართ, მაღალი ქმნილებანი და მასთან როგორი სათუთი და მკვეთრია ჩვენი როლი, როგორი კეთილშობილია ჩვენი კულტურა“.

და აქედან, თავის თავით, გამოდიოდა მისწრაფება ამ კულტურის მტკიცე და ერთსულოვნობით დაცვისა, ე. ი. მისი ძირითადი პირობების — მატერიული იმედიდრის, გაბატონებული მდგომარეობის.

კლასიურ საზოგადოებაში პოეზია შეუძლებელია ზე-კლასიური იყოს; მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ის ეკუთვნის ერთ რომელიმე კლასს. მაგნიკასოვის პოეზიაში ნათლათ გამოსქვეყნის გლეხების ინტერესების დაცვა ერთ ცხოვრების ღრმა ვაგებებს ნიადაგზე და იმავე დროს ქალაქის ინტელიგენციის ზრახვებიც გამოსქვეყნის, რომელიც მაშინ ნელ-ნელა ვითარდებოდა და რომელსაც ნიკასოვი თავის მოღვაწეობით ეკუთვნოდა, მასთან ერთად მის პოეზიაში სჩანს იმ წოდების ფსიხოლოგია, მიწათ მფლობელებთა პსიქოლოგია, რომლის წრიდანაც ის იყო გამოსული. აქედან ეს პოეზია შერეულ-კლასიური პოეზიაა. ასეთია დღეს უმეტეს ნაწილათ დემოკრატიული პოეზია. გლეხ ინტელიგენტური, მუშურ-გლეხური და მუშურ-გლეხურ-ინტელიგენტური.

ამის დანახვა ადვილია, როცა ჩვენი ახალგაზრდა თანამედროვე პოეტების ნაწარმოებს ვადახედავთ. პროლეტარიატს ესაჭიროება არა ასეთი პოეზია, არამედ წმიდა კლასიური, პროლეტარული პოეზია.

ა. ბოვლანოვი.



1 ოქტომბრიდან ჩვენი გაზეთის „ახალი კომუნისტი“-ს ცალკე ნაბეჭდი ფასი ყველგან 10 მან. ედირება; თვეში—200 მან.

მარტო მონიშნა კომუნისტურ პოლიტიკის საფუძვლების, და ამასთანავე თითქმის გამიწოვა კი არა, არამედ გამოუმუშავებდა კოლონიალურ პირობების კონკრეტულად შესწავლის საფუძველზე. მთელი საკითხი მდგომარეობს კოლონიებში ბრძოლის ნამდვილ, პრაქტიკულ მხარის დაჭერაში. ამხ. ლენინმა მოიყვანა ახ. კველჩის სიტყვები, რომელმაც განაცხადა კოლონიალურ კომისიაში. ინდოეთში აჯანყებას რომ ეფეთა, ჯინ-გოიტური პრესა შესძლებდა მოეხდინა გავლენა ინგლისის მუშათა დიდ ნაწილზე იმ მიმართულებით, რომ ისინი მიიღებდნენ მონაწილეობას აჯანყების ჩაქრობაში. თუ ახ. კველჩი გვითითებს მხოლოდ იმაზე, რომ ინგლისის მუშათა წარუბრებში არსებობს იმპერიალისტური მიმდინარეობა, ეს უეჭველი ფაქტია. ხოლო თუ ამ მითითებას იქითკენ უნდა წავიყვანოთ, რომ ჩვენი ინგლისელი ამხანაგები უნდა დარჩენილიყვნენ ასაიურათ კოლონიალურ აჯანყების დროს, რომ მათ ეფიქრებოდათ, რომ ამ სულთერ განწყობილების წინააღმდეგ შეუძლებელია ბრძოლა სხვანაირათ, თუ არა საპროტესტო რეზოლიუციების გამოტანათ, — მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ჯერ კიდევ კომუნისტური პოლიტიკის ან ბანი უნდა ასწავლოს თავის წევრებს.

ინგლისის პროლეტარიატი ვერ შეძლებს კაპიტალიზმისგან განთავისუფლებას თუ არ დაუჭირა მხარი კალონიალურ რევოლუციონრ მოძრაობას

თუ ინგლისის მუშები იმის მაკავრათ, რომ გამოვიდნენ ბურჟუაზიულ კრუმორ-წმუნეობის წინააღმდეგ, მხარს უჭერენ ან და პასიურათ ეკიდებიან ინგლისის იმპერიალიზმის მოქმედებას. ისინი მუშაობენ ყოველგვარ რევოლუციონურ მოძრაობის დასახშობათ თვით ინგლ. სში. ინგლისის პროლეტარიატი ვერ შეძლებს კაპიტალიზმის ხრწნისაგან განთავისუფლებას, თუ მხარი არ დაუჭირა კოლონიალურ რევოლუციონურ მოძრაობას. როგორცაც დადგება დრო და ინგლისის მუშები აჯანყდებიან საკუთარ კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ისინი ამოყოფენ თავს იმ ფაქტის წინაშე, რომ ინგლისის შესძლებს უკეთეს შემთხვევაში დაფაროს მხოლოდ 30 პროც. იაგის მოთხოვნისა მოსახმარ სავენებმა საკუთარ წარმოების პროდუქტებით. ისინი აჯანყდებიან მდგომარეობაში, როდესაც ამერიკა შეეცდებოდა ბლოკადა გაუყვიოს პროლეტარულ ინგლისს, ვინაიდან, თუ ამერიკის კაპიტალიზმის გეგმები ვერ შეძლებს შესწავლას საარსებო სურსათის შეტანა პროლეტარულ ცერობაში, რადგანაც ამერიკელმა ხომ უნდა გაყიდოს ის, მაშინ ძალიან შესაძლოა, რომ ინგლისის კაპიტალი შესძლებს შეისყიდოს ერთი ან ორი წლის განმავლობაში ამერიკის პური, რომ არ გაუშვას ის ინგლისში. ამ შემთხვევაში ინგლისის რევოლუციონის ბედი უმეტესათ იმისგან იქნება დამოკიდებული, შეხედავენ თუ არა ირლანდიის, ინდოეთის, ეგვიპტის და სხვ. გლეხები და მუშები ინგლისის მუშებს, როგორც მათ დამცველებს, თუ შეეჩვენებიან დაინახონ ინგლისის მუშათა კლასში ინგლისის იმპერიალიზმის დამქაშები.

კომუნისტები სკარბოროს მუშათა კანგრესზე.

მუშათა კონგრესმა სკარბოროში მიიღო მნიშვნელოვანი რეზოლიუცია, სადაც ის მოითხოვს ინდოეთისა და ეგვიპტის დამოუკიდებლობას. და არც ერთი კომუნისტი არ ამდგარა, რომ ეთქვა კონგრესისთვის, რომ მაკონალები მხარს უჭერენ ბურჟუაზიას მით, რომ აშტერტენ იგლისის მუშებს ირლანდიის, ინდოეთის და ეგვიპტის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკით. ეს ხომ პირდაპირ პარაზიტობა და თაღლითობაა, როდესაც სწორედ ის ადამიანები, რომლებმაც ამიტინარეში მომხდარ ხოცვა-კლერტის გამო ვერ დაახასიათეს გენერალი დეიერის, როგორც ჩვეულებრივი მკვლელი, როდესაც ეს ადამიანები გამოდიან კო-

ლონიებს დამოუკიდებლობის დამცველებათ. ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ თქვენ, ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა ინგლისის მუშათა პარტიიდან ნილამი არ ჩამოგლიჯეთ ამ თაღლითებს.

როგორ დააფასებს ინტერნაციონალი ინგლისის კომუნისტებს?

ინტერნაციონალი დააფასებს ინგლისის კომუნისტებს არა იმ სტატიების მიხედვით, რომელსაც ისინი სწორავენ: „გალღობი“ და „ფორვერს—დრადიო-უგპტში“. ის დააფასებს მათ კოლონიებში ავტოციის გაწვევისათვის ციხეებში ჩაყრილ ამხანაგების რიცხვით. ჩვენ ვუთითებთ ინგლისელ ამხანაგებს, რომ მათი ვალა მთელი ძალიანობით დაეხმარონ ირლანდიის მოძრაობას, ავტოცია გასწიონ ინგლისის ჯარებში. ყველა საშუალებებით წინააღმდეგ ტრანსპორტისა და რკინის გზელ მუშათა კავშირებს, რომლებიც ნებს აძლევენ თავიანთ თავს, გადაიყვანონ ჯარები ირლანდიაში. ინგლისში ახლა ძალიან ადვილია ლაპარაკი რუსეთის საქმეებში ინტერვენციის წინააღმდეგ, როდესაც მის წინააღმდეგ თითქმის მემარცხენე ბურჟუაზიაც კი გამოდის. ინგლისელ ამხანაგებსათვის გაიღებთ ძნელია ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ და ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს, მოვითხოვოთ ინგლისელ ამხანაგებისგან ამ ძნელი სამუშაოს შესრულება.

პარლამენტის მნიშვნელობა ინგლისელ ამხანაგებისთვის.

ჩვენ კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი ამ კითხვისა და პარლამენტარიაზმის შესახებ, მაგრამ დღესაც აქვს უკვე მნიშვნელობა მიუთითოთ ინგლისელ ამხანაგებს შოპსტიუარტიდან, რომლებსაც მსურთ მხარი დაუჭირონ კომუნისტურ მოძრაობას იმაზე, თუ როგორ ბავშვურათ იქცევიან ისინი, როდესაც ხელიდან უშვებენ ბრძოლის ერთ იარაღს, მით, რომ მონაწილეობას არ ღებულობენ პარლამენტარულ მოქმედებაში. ინდოეთის გლეხებს არ შეუძლიათ იცოდნენ, რომ ჩვენი „საფარბიკო მამასახლისები“ (ტაში) იბრძვიან მათი დატუქვის წინააღმდეგ, ერთ რომელიმე მთავანს საგნებისათვის თავის სახელები რომ ეწოდებოდა პარლამენტში, რასაკვირველია, თავმჯდომარე გააძეგვბდა მას სასხლომო დარბაზიდან. მაგრამ რეიტერი არ დაიყოვნებდა ემცნო მთელ ქვეყნიერობისათვის, რომ ინგლისის პარლამენტში მოიძებნა ისეთი გამკეტი, რომელმაც უწოდა მკვლელობას ეკვლელობა.

სოციალური რევოლუცია და კოლონიალური მოძრაობა

ინგლისის კაპიტალი ეყრდნობა ძლიერ ბურჟუაზიას, ის არ შეიძლება დამხობილ იქნას მარტო ლონდონში, შეფილდში, მანჩესტერში და გლასგოში; ის დამარცხებულ უნდა იქნას კოლონიებში. იქ არის მისი ახილესის დალი. და ინგლისის კომუნისტების ვალაა წავიდნენ კოლონიებში და სათავეში ჩაუდგენ აჯანყებულ ხალხებს. ძველი ინტერნაციონალის ისტორიაში ჩვენ არ ვიცით თითქმის არც ერთი შემთხვევა, როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოსულიყოს მოწინავე მებრძოლთა კოლონიალურ ხალხების განსათავისუფლებლათ. როდესაც საწყალი „დეპუტეები ათასობით გარეკეს უდაბნოში, გერმანიის სოციალისტებმა თავი შეიკავეს კენჭის ყრის დროს და განაცხადეს, რომ მათ არ იციან აჯანყების მიზეზები და არ შეუძლიათ იქონიონ რაიმე მსჯელობა ამ კითხვას შესახებ. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უნდა შექმნას ისეთი ატმოსფერა, რომლის შემწევობით მოკლებულ იქნებიან შეძლებას, მონაწილეობა მიიღონ კონგრესებზე, რომლებიც არ ეხმარებიან პრაქტიკულათ კოლონიების აჯანყებას. იმისდაგვარათ, როგორც ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ყოველ ქვეყანაში გამოვიყენოთ ჩვენი ბრძოლისთვის ის წვილ ბურჟუაზიული ელემენტები, რომლებიც ისრებიან პროლეტარიატისაკენ, კომუნისტური ინტერნაციონალი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი უნდა იყოს აზიის და აფრიკის აღმოსავლეთის ხალხათვის. კომუნისტური ინტერნაციონალი უნდა ილაშქრებდეს მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ არა მარტო ევროპის, არამედ აზიურ ხალხთა მასების დახმარებითაც, კაპიტალიზმი დაეყ-

რდნობა კანონების არა მარტო ეკონომიურს, არამედ სამხედრო ძალასაც. სოციალურ რევოლუციის ევროპაში ჯერ კიდევ მოუხდება საქმის დაკავება შეკანთან ჯარებთან.

ჩვენი საქმიანობა აღმოსავლეთში.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოქმედებებზე უნდა გადავიდეს. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ უკვე შესდგა ფიხი ამ გზაზე და თუ ინგლისი იხილავს ჩვენს ძნელ მუშაობას აღმოსავლეთში, ჩვენს შეგნებულ ავტოციის საბჭოთა ორგანიზაციების დასაარსებლათ თურქესტანში და კავკასიაში, ჩვენი ხელების გაწოდებას სპარსეთისაკენ და ოსმალეთისაკენ, როგორც ინგლისელებისათვის გაართულების მომზადებისაკენ მიმართულ საბჭოთა რესპუბლიკას ნაბიჯებს, ეს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის სრული გაუგებრობაა. ეს კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის შესრულებაა, ეს თავის მოვალეობის შესრულებაა საბჭოთა რუსეთის მიერ, რომელიც ინტერნაციონალის ნაწილია. ჩვენ ვუყურებდით აღმოსავლეთურ ავტოციას არა როგორც დამხმარე საშუალებას ევროპულ კაპიტალთან ბრძოლაში, ჩვენ ვუყურებთ მას, როგორც მოვალეობის აღსრულებას, რომელსაც ჩვენ გვავალებს ევროპის პროლეტარიატის ინტერესები. დახმარება არ უნდა გამოიხატებოდეს უსათუოთ იმაში, რომ ხელოვნურათ მოვაწყუოთ კომუნისტური პარტიები იქ, სადაც არავითარი ნიდაგი არ აქვს კემუნისმს. არა, ის შეიძლება მდგომარეობდეს ამ ხალხების განმანთავისუფლებელ ბრძოლის პირდაპირ ხელის შეწყობაში.

კოლონიალური ქვეყნები და სოციალიზმი.

ამხ. ლენინმა მიგვითითა იმაზე, რომ არ არის არავითარი თეორეტიული და-

საბუთება იმის, რომ, რომ ყველა ხალხებმა უნდა გაიარონ კაპიტალისტური ფაზისი. მაგრამ ყველა დღევანდელი კაპიტალიზმის მანუფაქტურულ პერიოდით. იაპონია პირდაპირ გადავიდა ფეოდალურ მდგომარეობიდან იმპერიალისტურ კულტურის ფაზისში. თუ კი გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის პროლეტარული მასები შესძლებენ დაიპყრონ სოციალიზმი, ჩვენ მივალთ კოლონიალურ ხალხებთან არ მარტო კაპიტალიზმის მიერ დანატოვარ ყველა თანამედროვე საწარმოო საშუალებებით, არამედ წარმოების ახალი მეთოდებით, რომლებსაც შექმნის სოციალიზმი. ჩვენ დავებმარებით მათ პირდაპირ გზის გამოჩვენებაში ფეოდალურ ბარბაროსობიდან ისეთ წარმოებისაკენ, რომლის დროსაც ისინი შესძლებენ თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა მოხმარებას ისე, რომ არ გამოიარონ ხელოსნობისა და მანუფაქტურის სტადიები. ჩვენ გვგვართ ახალი ეპოქის დაწყების წინ. ევროპის კაპიტალიზმს ემინია აღმოსავლეთის ხალხების გამოფხიზლების, ის უდაპარს გვეუბნება „ყვითელ საფრთხეზე“, და შეიძლება ითქვას, რომ თუ კაპიტალიზმი კიდევ შეინარჩუნებს თავს შემდეგაც: მართლაც განდება ყვითელი საფრთხე. ჩინეთის ანუ ოსმალეთის გამოვლტარებულმა გლეხობამ, რომლებსაც სამ ტუავს აძრობენ, უნდა გადასახლდნენ, რომ საშუალო იშვოვნ, და იმით თავის დასაცავთ შეიძლება დაიყონ ხალხების ახალი დიდი აღდსახლება. კომუნისმს არაფერი არ აქვს საშუაში ყვითელი საფრთხისაგან; მას შეუძლია ხელი გაუწოდოს ყველა დაჩაგრულ ხალხებს, ვინაიდან მას მოაქვს მათთვის არა ძარცვა-გლეჯა, არამედ ძმური დახმარება. (შემდეგი იქნება)

კოლონიალური ქვეყნები და სოციალიზმი.

ამხ. ლენინმა მიგვითითა იმაზე, რომ არ არის არავითარი თეორეტიული და-

გიულესტანი პრესბიურსი

რ. ხ. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

მუშათა მოძრაობა შოტლანდიაში

მანკოვი, 25 სექტ. შოტლანდიაში კომუნისტების გამოსვლას და ქვა-ნახშირის მიწების მიერ დაკავებას მოელოდნენ. ამ მუშებს ჰყავთ 60 ათასი კაცი-საგან შემდგარი შეიარაღებული წითელი გვარდია.

პლატინის აღმოჩენა

კავკავი, 21 სექტემბერი. ზემო ოსეთში აღმოაჩინეს პლატინის მადენი. სწარმოებს ქიმიური გამოკვლევა.

რევოლუციის მუშეუმი.

პეტერბურგი, 20 სექტ. რევოლუციის მუშეუმი პეტერბურგში ოქტომბრის რევოლუციის მომავალ სამი წლის თავის აღსანიშნავათ ემზადება და სპეციალურ საიუბილეო გამოფენისთვის (დეკემბრის პირველ-ნახევარში), ეკსპონატებს აგროვებს.

რევოლუცია ჩინეთში

გერნუენდისკი, 17 სექტ. ჩინეთის ერთი პროვინცია—კანტონი მოცულია რევოლუციონური მოძრაობით. აჯანყებულების ჯარები იმარჯვებენ. მთელი ბურჟუაზია გარბის.

მილიტარიზმის წინააღმდეგ პოლონეთში

კიევი, 20 სექტ. ვარშავაში და პოლონეთის სხვა ქალაქებში იმართება მიტინგები, რომელზედაც დაკენებით მოითხოვენ სამოქალაქო მმართველობის გამოყოფას სამხედროისგან. მოძრაობა სულ უფრო და უფრო იზრდება იმიტომ, რომ მარშალ პილსუდსკის პოლონეთის შინაურ ცხოვრებაში ჩარევა თანდათან ხშირდება.

გერმანიის მუშების შეკითხვა

მოსკოვი, 24 სექტ. გერმანიის ლითონ მუშოვრებზე მომუშავეები მთავრობას შეეკითხნენ, თუ რისთვის არ უშვებს იგი საბჭოთა რუსეთში ორთქლმავლებს. ამ შეკითხვაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ ამის ნებას ანტანტა არ იძლევა, თანახმათ ვერსალის ხელშეკრულებისათ.

„ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკა“

ტრაპიზონი, 20 სექტ. ანგორიდან იტყობინებიან: ანგორის მთავრობის ოფიციალიზმმა „ნაკიმეტ მილიტიკ“ სწერს: „ამ დღეებში ეროვნულ ყრილობაზე ქმება დღეში ჩვენს აღმოსავლეთის პოლიტიკაზე მოხსენება გააკეთა. მან ბევრი საკულისხმო ცნობები მოიყვანა და ეს აღმოსავლეთის საკითხი ყოველ მხრივ გააშუქა. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ აღმოსავლეთში ჩვენი მდგომარეობა კარგაია. ჩვენი ბალშევიკებისადმი განწყობილება პირველ რიგში უნდა დაეყენოთ. ჩვენ მივდივართ მხარ და მხარ ერთათ ბალშევიკთან, რომელიც უდიდეს რევოლუციის ახდენს. ბალშევიკების საბოლოო მიზანია: აღმოსავლეთის ხალხთა მტრეობის—იმპერიალისტების აღგვა მიწის პირისგან. მიზანი იგივეა, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით. ჩვენც ბალშევიკებსავით გვინდა შექმნათ ისეთი სახელმწიფო, რომელიც გამომხატავს ხალხის ნება-სურვილს, რაც შეიძლება, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. აი ეს საფუძვლები ჩვენ გვახლოვებს. მაგრამ ჩვენსა და ბალშევიკებს შორის განსხვავებაც დიდია. იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა იმდენათ ჩამორჩენილია, რომ ის ეკონომიური და სოციალური საკითხები, რომლებიც რუსეთის და ევროპის სხვა სახელმწიფოს მიწინააღმდეგ პირებს აგვრ ადევლებს, ჩვენში სრულიათ არ მომწიფებულან, სოციალურ-ეკონომიურ სფეროში ბალშევიკური პროგრამის ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია.

მიუხედავათ იმისა, რომ მთელ მათ ყურადღებას დასავლეთის ფრონტი იპყრობს, ბალშევიკებმა კავკასიაში ბევრი ეცადნენ, რათა განემტყიცებიათ ჩვენთან კავშირი, რასაც, დაბოლოს, კიდევც მაღალწიეს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ინტერესები, როგორც მსოფლიო პოლიტიკის თვალსაზრისით, ისე ჩვენი ოსმალეთის, სრულიად გვაახლოვებს ჩვენ ბალშევიკებთან.

იტალიის ამბები

მოსკოვი, 24 სექტ. მუშებსა და მწარმოებელთა შორის მოლაპარაკება სწარმოებს. იტალიის მთავრობა დათმობაზე წავიდა და წარმომებაში მუშათა კანტროლის შემოღების კანონი გამოცხადდა. მოეწყო მუშათა საბჭოები.

ამხანაგებთა მუშებთა და გლეხებთა რესების დამცველი გას. «ახ. კომუნისტი».

უკანასკნალი სწოვაბი

25 სექტემბერი.

სამხ. ოპერატ. რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსავეტის“ საველე შტაბისა.

დასავლეთის ფრონტი.
გროდნოს დასავლეთით და სამხრეთით ცვალებადი ხასიათის ბრძოლებია. ჩვენი ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და სოფლების მთელი რიგი დაიკავეს. ქ. ვოლკოვის ქუჩებში ბრძოლები სწარმოებს.

სამხრეთ დასავლეთის ფრონტი.

ჩვენმა ნაწილებმა სოფლების მთელი რიგი დაიკავეს კაშენეც-პოდოლსკის აღმოსავლეთით 35 ვერსზე.

ყირიმის ფრონტი.

ჩვენ დავიკავეთ სად. სლავკოროდი, სად. სინელკინოვოს სამხრეთით 20 ვერსზე. მარიუპოლის რაიონში მარიუპოლის დასავლეთით 60 ვერსზე მკაცრი ბრძოლებია.

პოლონეთის ფრონტი.

გროდნოს რაიონში რამოდენიმე ხნის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგესთან, ჩვენი ჯარები დ. ნემანის მარცხენა ნაპირზე გადავიყვანეთ. მკაცრი ბრძოლების შემდეგ ჩვენ ქალ. ვოლკოვსკი ავიღეთ და მისი დასავლეთით ათ ვერსზე რამოდენიმე სოფელი. კომინსკის რაიონში ბრძოლები ძველი სიმკაცრით სწარმოებს.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.

პროსკუროვის რაიონში ქალ. პროსკუროვთან მკაცრი ბრძოლები სწარმოებს.

ყირიმის ფრონტი.

მარიუპოლის რაიონში ქ. მარიუპოლის დასავლეთით ოც ვერსზე სწარმოებს ბრძოლები.

ტროცკის ბრძანება.

მოსკოვი, 26 სექტემბერი. რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს თავმჯდომარემ—ამხ. ტროცკიმ ჯარებისა და ფლოტისადმი გამოუშვა შემდეგი ბრძანება: „სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმსრულებელმა კომიტეტმა პოლონეთის მთავრობას მიმართა წინადადება ჩამოაგდონ ათი დღის ვადით დროებითი ზავი და ზავის ძირითად პირობებს ხელი მოაწერონ, მასთან, ომის სასწრაფოთ დასასრულებლათ, სრ. რ. ც. აღ. ქ. გადაწყვეტა პოლონეთთან მორიგეობაში დიდ დათმობაზე წავიდეს“

წითელი არმიის და წითელი ფლოტის თვითუღმა მხედარმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ არ ვაწარმოებთ ომებს სხვისი ტერიტორიის დასაპყრობათ, არც ანექსიისთვის და კონტრიბუციისთვის და არც, ეგრედწოდებულ სამხედრო დიდებისათვის. ჩვენ თავდაცვას ვაწარმოებთ და მშვიდობიანობისათვის ვიბრძვი. სადაც კი შეგვიძლია, ჩვენ ვცდილობთ მშრომელ ხალხს მოუპოვოთ მშვიდობიანობა არა სისხლის საფასურით, არამედ დათმობებით. ასეთ საცდელს მუშურ-გლეხური მთავრობის უზენაესი ორგანო ამ ყვამათაც ხმარობს, და ისწრაფის, რომ სახამართო კამპანია თავიდან აიცილოს. სრ. რ. ც. აღ. ქ. გადაწყვეტილებების აზრით წითელი არმიის და წითელი ფლოტის ჯარის კაცმა უნდა შეიგნოს. სარდლები, კომისრები, პოლიტკომები ვალდებული არიან მებრძოლთ ფრონტზე და ზურგში აუხსნან დათმობათა სიდიდე, რომელსაც უშვებს საბჭოთა რესპუბლიკა ბურჟუაზიულ პოლონეთთან, რათა ბოლო მოეღოს სისხლის ღრასა. ჩვენ მზათ ვართ ზავი ჩამოვაგდოთ, და თუ თეთრი პოლონეთი ამ ყვამათაც არ დევთანხმდება ზავზე, მაშინ წითელი არმია, თავის სიმართლენი დერწმუნებული, არავითარ ახალ სხვერპლის წინაშე არ შეჩერდება, რათა მუშურ-გლეხურ რუსეთის მოუპოვოს გამარჯვება და მტკიცე და პატიოსანი ზავი.

რევოენ-სოვეტის თავმჯდომარე ტროცკი.

